

საპარტოვლოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 დეკემბერი, კვირა, 1988 წ. № 231 (9898) შპსი 3 ქაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიკა

# თბილისი მსოფლიო ჩემპიონატის მოლოდინია

როგორც აღრე რამდენჯერმე გაუწყეთ, წელს, 17-21 დეკემბერს, ჩვენი დედაქალაქი პირველად უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატს ძიულში სტუდენტთა შორის. ვაჟებისთვის ეს იქნება რიგითი X ასპარეზობა, სტუდენტთა ქალებისთვის კი — პირველი. უკვე ცნობილი გახდა, რომ თბილისში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვეს ევროპის, აზიის, აფრიკის, ორივე ამერიკისა და ავსტრალიის წარმომადგენლებმა, ფაქტიურად მთელმა საყარეზომ, რაც სპორტის ამ სახეობის უდავო პაპულარობაზე მეტყველებს. ვაგაცნობთ მონაწილე მკვირვების წინასწარ განაცხადს: სსრ კავშირი, შვეიცარია, ავსტრალია, იტალია, ბრაზილია, ავსტრია, მალტა, იუგოსლავია, ალჟირი, პოლანდია, აშშ, კანადა, ბელგია, ბულგარეთი, ჩინეთი, სენაგალი, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, გერმანია, კონგო, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, კვიბროსი, გერმანია, იაპონია, საფრანგეთი, სამხრეთი კორეა, მონგოლეთი, კუბა...

თბილისში უკვე ვარჯიშს შეუდგა სსრ კავშირის ხატები გუნდი, რომლის შემადგენლობაში ქართველი ძიულისტებიც არიან. გუნდში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებაში, რომელსაც ჩემპიონატის ჩატარება ევალება, გაიშარა ჩემპიონატის მზადებისა და ჩატარების ხელმძღვანელების ოპერატიული შტაბის სხდომა, სადაც ერთხელ კიდევ იმსჯელეს ამ ავტორიტეტული შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარების საკითხებზე, დაუსტეს თითოეული დეტალი. მალე გაიმართება საორგანიზაციო კომიტეტის საბოლოო სხდომა მისი თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით.

**ლიან, 'გილეთავი'**  
**წინასწარ გაიხილება**  
რედაქციაში მოდის წერილები, ყოველდღიურად გვირეკავენ და



**გულრბაჟი აფხაზეთის სპორტსმენებს**  
საბავთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: სპორტულ ტანვარჯიშში — თამი-

ლა ჩაგლოშვილს (სოხუმი, სახალხო განათლება);  
შთამხლოშვილს — ვლადიმერ მელინიკს (სოხუმი, პროფკავშირები);  
კრივიში — მერუჟან კარენიძეს (გულრიფში), ვრამ ვარულჯიანს



გვიკითხვიან გაიყიდება თუ არა ძიულში მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთები წინასწარ. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ დაგუკავშირდით თბილისის სპორტის სასახლის ლირექციას. გვითხრეს, რომ ჩემპიონატთან დაკავშირებით იბეჭდება სპეციალური ბილეთები, რომლის გაყიდვა ვარაუდობენ დაიწყონ ჩემპიონატამდე 7-8 დღით ადრე, თუმცა, ვისაც სურს ბილეთი გარანტირებული ჰქონდეს, განაცხადით (კოლექტიური დასწრებისათვის) უნდა მიმართოს სპორტის სასახლის ლირექციას. იქვე შეგიძლიათ წინასწარ ჩაეწიროთ, რათა დაბეჭდული გქონდეთ ბილეთი ჩემპიონატზე ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად. დასწრებისათვის.

**სპორტულ შურნალისტთა საყარადღეობო!**  
თბილისში ძიულში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით გაიმართება სპორტულ შურნალისტთა ფედერაციის სხდომა. განხილული იქნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ჩემპიონატის დაწყებამდე და ჩემპიონატის დღეებში ამ ასპარეზობის გაშუქებისა და შურნალისტთა წინასწარი აკრედიტაციის საკითხები.  
სხდომა ჩატარდება სამშაბათს; 17 საათზე, სპორტულ შურნალისტთა რესპუბლიკურ ფედერაციაში (ლენინის, 14).

(გუმისთა), დაურ ლაკიას (სოხუმი), კარენ ესიანს (სოხუმი, ოთხივე — პროფკავშირები);  
**თავისუფალ კიდაშაში** — ამირან ვაჟაიძეს (სოხუმი „დინამო“), გელა უბილაძეს (სოხუმი), გონა აბრუშის (ოჩამჩირე), ბესლან ბიგვაძეს (ოჩამჩირე, სამივე — პროფკავშირები).



წლებანდელი წლის სპორტულ მონაბარს კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმატება მიემატა. ბელგიაში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ინგა გიორგოზიანი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ნატალია ანისიმოვა და მოსწავლე სვეტლანა შაპარიავა.  
**ვალენტინა!**  
სურათზე: სვეტლანა შაპარიავა, ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგოზიანი.  
ჭემალ კასრაძის ფოტო.

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**  
**შესვენება დაიწყება**  
ერთიანი შესვენების შემდეგ განახლდა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატი.  
**მოსკოვი.** დაძაბული ბრძოლით აღინიშნა თბილისისა და ადგილობრივი დინამოელების მატჩი, თუმცა ეს, უფრო მეტად მეორე ტაიმისა და დამატებით ხუთ წუთზე ითქმის. თორემ პირველი ნახევარი თბილისელებმა საკმაოდ აქტიურად ჩატარეს და დიდი უპირატესობითაც მოიგეს — 54:38. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა შესძლეს მდგომარეობის გათანაბრება და შეხვედრაც დამთავრდა ფრედ 79:79. ყველაფერი ვადაწყდა დამატებით დროში, რომელიც ჩვენი კალათბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 15:13. მატჩის საბოლოო შედეგია 94:92. თბილისის „დინამომ“ სა-

მდგომარეობა	დღეებისთვის
ცსკა	8 8 0 854-863 18
სპ (ალმა-ათა)	10 6 4 999-967 16
„სტრ.“ (კიევი)	8 7 1 754-687 15
„სპარ.“ (ლდ.)	10 5 5 799-845 15
„სტატ.“ (ვილ.)	10 4 6 918-866 14
„კალ.“ (ტალ.)	10 4 6 824-868 14
„დინ.“ (მ.)	9 4 5 892-877 13
რტი (მინსკი)	8 4 4 711-716 12
ვეფ (რიგა)	10 2 8 872-1029 12
„უალ.“ (კაუნ.)	8 5 1 608-567 11
„დინ.“ (თბ.)	9 2 7 761-832 11
„შახტ.“ (დონ.)	8 2 6 687-712 10

**ერთი მხრის ალსაზრდელები**  
ნარვში ჩატარდა დიდი საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჰილბობაში 1972-1974 წლებში დაბადებულ ქაბუტა შორის. ასპარეზობაში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ თბილისის სპორტო-ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტსკოლის (დირექტორი ელდარ ფორჯანაძე) აღსაზრდელები. საინტერესოა ერთი დეტალი: საბრზო ადგილებზე გასული ყველა ჩვენი მოკიდავის აღმზრდელი გახლავთ ამ სკოლის მწვრთნელი ვილიამ ხარაზი. არადა, თბილისელმა ქაბუტებმა ტურნირში ოთხი პირველი, სამი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავეს.  
გამარჯვება მოიპოვეს: ბესიკ ქართველშვილმა (50 კგ), ჭემალ

დუნდუამ (54 კგ), გიორგი გოზალიშვილმა (58 კგ) და ზურაბ ოქროშვილმა (62 კგ). მეორე ადგილებში წილად ხვდათ: გიორგი იორაშვილს (44 კგ), ვახტანგ გამციკელიძეს (50 კგ), ვიგოლა გოგუაძეს (62 კგ), მესამეზე კი ბესიკ იორაშვილი (41 კგ) და კახაბერ თამაშაშვილი (66 კგ) გავიდნენ.  
ასეთი წარმატების ფონზე გუნდური გამარჯვება, ცხადია, თბილისის კომპლექსურ სპორტსკოლის დარჩა (ამ სკოლის ყველა აღსაზრდელი სპორტულს „შეგარდენის“ სახელით გამოდიოდა). მომდევნო ადგილები ერგოთ მადანანსა და სამტრედიის კოლექტივებს. სამტრედიელთა მესამე ადგილი ასეთ ტურნირში უთუოდ დიდი წარმატებაა.

# მეგობრება ოლიმპიელი საქართველოდან

თბილისელი ნიკოლოზ უშაგვი არ ირისხვობდა ჩვენს XXIV ოლიმპიურ ასპარეზობაზე სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. მზარამ საბავთა სპორტსმენებთან პირველად მან უჩვენა თავისი თსტატობა... საულის ცაში. მსოფლიოს შვიდავის ჩემპიონი საპარეზო სპორტში ჩვენი ქვეყნის ერთადერთი წარმომადგენელი იყო არტურ უსაფრთხო მოეჩევა. რამდენიმე წლის შემდეგ ფირი, რომელსაც აღმუქვლია ჩვენი

კმანა პერსონალური მიწვევა გამოუგზავნა ნ. უშაგვის. — ინტერნაციონალურ ნაკრებ გუნდში შევიდა მრავალი ქვეყნის 76 სპორტსმენი, — თქვა ნიკოლოზმა. — ჩვენი შორის სამი ქალიც იყო — ჩინეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და კანადიდან. ერთობლივი წვრთნისათვის სეულში შევიკრიბეთ ოლიმპიადის გახსნამდე ათი დღით ადრე. საპარე სპეციალისტების პროგრამის გახსნის უფლება ასპარეზობის მასპინძლებს მიანიჭეს. შემდეგ ინტერნაციონალურმა გუნდმა, რომელშიც ჩემთან ერთად შედიოდნენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის, ავსტრალიის, ბელგიის, შვეიციის, კანადის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის სპარეზისტები შეასრულა ეტაპები. — დასასრულ ამერიკელმა თავისუფალი ვარდის დრის ცაში „ლაბატეს“ ხუთი ოლიმპიური რგოლი.

ყველა ფიგურის შესრულება თითოეული სპორტსმენისაგან მოითხოვდა დიდ სიუსტესს, მით უმეტეს, რომ დამატებითი სიძნელეები შექმნა სეულის სტადიონის უჩვეულო კონსტრუქციამ — მისი საფარი ავიწროებდა დამკვირვებელთა სივრცეს.  
მაგრამ ოლიმპიადის გახსნამდე გამოსვლისას ჩვენი კიდევ ერთი მოულოდნელობა გველოდა, რომელიც არავის არ გაუთვალისწინებია ვარჯიშის დროს, — თქვა შემდეგ უშაგვმა. — დამკვირვებელთა საზოგადოების სტადიონის ხალხით სავსე ტრიბუნებიდან ამოსული ცხელი ჰაერის გიგანტურ სეულს. იგი „გაჩერებდა“ ჰაერში. აფერხებდა მიწაზე დამკვირვებელთა.



ნიკოლოზ უშაგვი.

# გაჩვიება ოლიგარქული საქართველო

**(დასასრული)**

ყველა სპორტსმენის დიდმა პროფესიულმა ოსტატობამ, ზუსტმა გაანგარიშებამ, სინქრონულმა მოქმედებამ შესაძლებლობა მოგვცა წარმატებით დაგვეძლია ეს უხილავი დაბრკოლება. გამოსვლაში წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე ვინც მას თავის ადრენალინულ სტადიონის ტრიბუნებიდან და ტელევიზორების ეკრანებზე მსოფლიოს ყველა კუთხეში აღტაცება ვერ დაფარა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ზუან ანტონიმ სამარანჩამაც. პარაშუტისტებისათვის 1988 წლის ოლიმპიური ასპარეზობის სამახსოვრო მედლები გადაცემისას მან აღტაცებით წარმოთქვა: „ეს ფანტასტიკაა! ბარსელონა გელით თქვენ!“ და მამინათვე ცნობილი გახდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით საპარაშუტო სპორტის შეტანილია 1992 წლის ოლიმპიური ასპარეზობის საჩვენებელ პროგრამაში და განიხილება საკითხი, რომ ამ სახეობის სპორტს მინერკოს ოლიმპიური სტატუსი 1996 წლისათვის.

● **თქვენ, რა თქმა უნდა, ოცნებობთ ამ დღეზე!**

— დიდი ხანია ველოდით ასეთ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება მე, არ შეიძლება დავივიწყოთ ასაკიც. და ამის მიუხედავად იმედით მაქვს გამოვიღე თუნდაც ბარსელონაში.

დიან, უშედეგო ყოველგვარი საფუძველი აქვს ამის იმედი ჰქონდეს. იგი ხომ ენერჯითა და ძალაღონით არის აღსავსე, მასთან გაჯობება ოსტატობაში მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში შეუძლიათ. მის ანგარიშზე უკვე 10.300 ნახტომი. ეს მესამე შედეგია მსოფლიოში საპარაშუტო სპორტის მთელი ისტორიის მანძილზე. მას ახლაც უმცირეს დეტალურად ახსოვს თავისი პირველი ნახტომი, რომელიც 17 წლის წინათ განხორციელდა მშობლიური სტავროპოლის აეროკლუბში:

— მაშინ შიშს კი არა, ცნობის-მოყვარეობის გრძობას უფრო განვიცდიდი. თვითმფრინავის ძრავის გუგუნის შემდეგ განმაცვიფრა საოცარმა სიჩქარემ უსაზღვრო ცისფერ სივრცეში. და კიდევ განვიცდიდი თავისუფალი ფრენის გრძობას, რომლის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია. მიწაზე დაშვების შემდეგ ბავშვით მისაზროდა, მინდოდა შემღერა და მეცეკვა. მაშინ მიხვდი, რომ არჩევანში არ შეგვცდარავარ. იგი მიველი ცხოვრების მანძილზე უცვლელი დარჩა.

დღეს ძნელიც კია ჩამოვთვალოთ ამ ძლიერი, მამაცი, კეთილი და გულბიარი ადამიანის ყველა ტიტული. ზოგს ეს ტიტულები რამდენიმე ცხოვრების მანძილზე ეცოფა. საქმარისა ვთქვათ ის, რომ ინტერნაციონალურ „ოლიმპიურ გუნდში“ იგი ყველაზე ტიტულ

ლოვანი სპორტსმენი იყო. მისი სპორტული ნადავლის მდიდარ საოჯახო მუზეუმში არის მუდმივად, რომელიც უნიკალურია საბჭოთა სამხედრო მოსამხარეთისათვის. იგი გადაეცა უშედეგო... ნატოს წევრი ქვეყნების აბსოლუტურ ჩემპიონატში გამარჯვებისათვის.

1980 წელს საბჭოთა პარაშუტისტები წარმატებით გამოვიდნენ ავსტრიის დელაჟალაჟში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. ნიკოლოზ უშმავევი უძლიერესა შორის იყო. მომდევნო დღეს ვენაში თავიანთ ჩემპიონატს ატარებდნენ ნატოელები, ამ ასპარეზობის ორგანიზატორებმა ცნობისმოყვარეობის გამო მონაწილეობისათვის საბჭოთა ჩემპიონიც მიიწვიეს, ისინი არ ფარავდნენ რწმენას, რომ უპირატესობა დასავლეთის ქვეყნების სპორტსმენების მხარეზე იქნებოდა, და მწარედაც მოტყუვდნენ. უშმავევი გაიმარჯვა პროგრამის ყველა სახეობაში. ასეთი მოწვევა მას შემდეგ აღარ მიუღია.

ნიკოლოზს შიანია, რომ თავის მიღწევებს იგი თბილისის აეროკლუბს უნდა უბოლოდეს, სადაც ჩამოყალიბდა უბოლო სპორტსმენი. საქართველოს დელაჟალაჟში იგი გადიოდა არმიის სამსახურს და აქ სამუდამოდ დარჩა. აეროკლუბში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე ლიუდმილა, რომელიც მისი ცხოვრებისა და ციხე გატაცების ერთგული თანამგზავი გახდა. მის ანგარიშზე ასევე მეტი ნახტომი პარაშუტით. ნიკოლოზმა და

ლიუდმილამ ამ შესანიშნავი სპორტის სიყვარული ჩაუნერგეს ბავშვებსაც. უმცროსი ლიუდმილა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატისა და ტელემექანიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, 11 წლისა იყო როცა პირველად გადმოხტა პარაშუტით მამასთან ერთად. მეათეკლასეობა ანდრეამ კი უკვე რვა წლისამ დაიწყო პარაშუტით ხტობა უფროს უშმავევთან ერთად. იქნებ სწორედ ოჯახის ამ ერთგული ვენებში არის მისი უფროსის სპორტული დღეგრძელობის საიდუმლოც, რომელიც თერამეტი წლის განმავლობაში შედის სსრ კავშირის ნაკრები გუნდის — მსოფლიოში უძლიერესი გუნდის შემადგენლობაში. მას ტაშს უკრავდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის, კანადისა და იტალიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის, კუბისა და მოზამბიკის საპარაშუტო სპორტის მოყვარულები.

— საწყენია, რომ თბილისელებმა არც კი იციან, თუ რა ლამაზია ჩვენი სპორტი, — ნაღვლიანად თქვა ნიკოლოზმა. — რესპუბლიკაში ზომ არცთუ ისე ძნელია შეგქმნათ პირობები პარაშუტისტების პოპულარიზაციისათვის. თანამედროვე სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი შეიქმნა მხოლოდ რვა წლის წინ აეროკლუბის ბაზაზე. უამისოდ კი, ვფიქრობ, ძნელია მოვიზიოთ

საპარაშუტო ატლანტიკით მთლიან-კლასის პარაშუტისტები და რომ არ უნდა მოგაწყობოთ საჩვენებელი გამოსვლები თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, რომლის კონსტრუქცია მარტივი და მოხერხებულია, რატომ არ უნდა მოვიწვიოთ პარაშუტისტები „თბილისობის“ დელაჟალაჟზე? დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საჩვენებელი გამოსვლები ამ ვაკეცურ სპორტს შესანიშნავ პრაპაგანდას გაუწყვედა. ამაზე უკვე ღელს უნდა ვიფიქროთ. არცთუ ისე დიდი დრო რჩება 1996 წლის ოლიმპიურ ასპარეზობამდე, რომლის პროგრამაშიც აპირებენ საპარაშუტო სპორტის შეტანას.

სეზონი დასრულდა, მაგრამ წინ ახალი სტარტებია. და ნიკოლოზ უშმავევი გუნდებში უკვე ემზადება მათთვის.

— ციხე, ჩვენ, პარაშუტისტები განსხვავებულად ვევიდებით დროს, — ეღიმება მას. — „მიწიერი“ წამები ვერაფრით ვერ შეედრება ცაში გატარებულ დროს. ოცდაათი წამი ჰაერში დიდი დრო, თუ გნებავთ, მთელი მარათისობაა. ამ დროს ჩვენ ვგრძნობთ სხეულის თითქმის ყოველი ნაწილი.

იქნებ სწორედ ამიტომ მოასწრო ამდენი ნიკოლოზ უშმავევი. ადამიანმა, რომლისთვისაც ოცდაათი წამიც კი დიდი დროა.

**ს. ხახანავიშვილი,**  
(საქინფორმის კორ.).

## გია გიორგაძე — უმაღლესი ლიგაში

**სიმგობროლო** დამთავრდა სსრ კავშირის I ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა 56-ე ჩემპიონატი. შეჯიბრებამ, რომელსაც უმაღლესი ლიგის ხუთი მონაწილე უნდა დაესახელებინა, მეტად ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი — თამაზბდა 5 საერთაშორისო დიდოსტატ, 7 საერთაშორისო ოსტატი და 8 სპორტის ოსტატი. მათ შორის ორი ჩვენი თანამემამულე იყო — ოსტატები გია გიორგაძე და ლაშა ჯანჭღავა. თავიდანვე ვიტყვი, რომ გიორგაძემ ჩინებულად წარმართა ტურნირი და უმაღლესი ლიგის საგზურის დაუფლა. გუშინ გია გიორგაძე რელაქციაში გვეწვია.

— როგორც ჰადრაკის გულშემტკიცებები იციან, აგვისტოში ბარნაულში ჩატარდა I ლიგის შესარჩევი ტურნირი, სადაც ნახევარი ქულა დაბაკდა მიხანს და I ლიგის შეჯიბრების პირველ კანდიდატად ვითვლებოდი. თუმცა ამ ტურნირისთვის ინტენსიურად ვემზადებოდი, მაგრამ ჩემი მონაწილეობის საკითხი მხოლოდ ბოლო წუთს გადაწყდა და ბარნაულს გამგზავრება ძალიან გამოვირდა. შეჯიბრების წინ ლაშა ჯანჭღავა და მე ერთიან შეკრებაზე ვიყავით სანატორიუმ „ბორჯომში“. სხვათა შორის, დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ამ სანატორიუმის მთავარ ექიმს დავით გიგინეიშვილს, მთელ კოლექტივს გულისხმიერებისა და ადგილობრივი ზრუნვა-დახმარებისათვის.

ტურნირისთვის კარგად ვიყავი მომზადებული და წესით, უტიფოდ არ უნდა მეთამაშა, თუმცა უმაღლეს ლიგაში გასვლაზე არ ვფიქრობდი.

● **ამბობთ, არ ვფიქრობდით, რატომ?**

— საქმე ისაა, რომ ტურნირში ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი და ჩემს წინ შეტარებული ამოცანა იდგა. ტურნირის სიძლიერეზე და სირთულეზე ისიც მეტყველებს, რომ მისმა ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა, ერევნელმა დიდოსტატმა სმბათ ლუბტინამ (სხვათა შორის, მას ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა) XVII-XVIII ადგილები გაიყო მინსკელ საერთაშორისო ოსტატთან ლეონიდ ბანინთან. ვერ გაუძლო დაძაბულობას ნახევარფინალურ ტურნირებში, სსრ-ში გამარჯვებულმა.

● **ეხე იგი, ვინდათ თქვათ, რომ თქვენთვის მთავარი შემოქმედებითი მხარე იყო და არა სპორტული?**

— ეტყობა, ცხადია, კარგად თუ ვითამაშებდი, მაღალ ადგილსაც დაიკავებდი. მიუხედავად იმისა, რომ I ტურში დემარცხდი ჩელიაბინსკელ საერთაშორისო ოსტატ სემიონ დვოიროსთან, რწმენა არ შემიყვება. უკვე II ტურში, მსოქოვის ოქტის წარმომადგენელ, საერთაშორისო ოსტატ ალექსანდრე დრევეთან თითქმის აბსოლუტურად თანაბარი პოზიცია მქონდა, მეტოქემ უსიტყვოდ ყაიმიც კი შემომთავაზა, სვლების გამოტოვება დაიწყო, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს პარტია უნდა მომეგო და მოვეცეკდე. ასეთ ტურნირებში მთავარია რწმენა არ დაკარგო. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო II ტურის შეხვედრა სევასტოპოლელ დიდოსტატთან ვლადიმერ მაღანიუთან. შევებით ვთამაშობდი, ოდნავ უარესი პოზიცია მქონდა, მაგრამ მინაგანად ვგრძნობდი, რომ არ უნდა წამეგო და გვათანაბრე კიდევ მდგომარეობა. ის კი არა, ბოლოს ოდნავ უკეთესი პოზიცია მივიღე და საბოლოოდ საქმე ყაიმამდე მივიყვანე. მართლაც ძალიან რთული პარტია იყო. შემდეგ ტურში ლენინგრადელ საერთაშორისო ოსტატ ალექსანდრე ერმოლინსკის ესძლიე და შედარებით ამოვიუნთქე.

● **ეხე იგი, სტარტზევე გაირკვა ყველაფერი?**

— არა, ყველაზე ძნელი გადასალახი VII-IX ტურები გამოდგა. ვხვდებოდი ტურნირის ფავორიტებს: ოდესგა დიდოსტატებს ვლადიმერ ტუქაევიცა და კონსტანტინე ლურნერს, ლუგვლ დიდოსტატს ოლეგ რომანოვს. თანაც, პირველ ორს შევებით ვეთამაშებოდი. აი, ამ შეხვედრებს უნდა გადაეწყვიტა თითქმის ყველაფერი. საბედნიეროდ, სამედი პარტია ყაიმით დავამთავრე. სწორედ მაშინ ვიწმუნე, რომ შემდეგ უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საგზურის მოპოვება, ასეც მზნდა. გავიყავი IV-VI ადგილები.

● **კოეფიციენტით რომელ ადგილზე გახვდით?**

— მეექვსეზე.

● **უმაღლეს ლიგაში ხომ 5 კაცი უნდა გასულიყო, რა მოხდა?**

— სწორი ბრძანდებით, მაგრამ ნახეთ, რა წერია შეჯიბრების დებულებაში: უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება აქვს წინა ჩემპიონატის სამ პრიზიორს... მსოფლიო ჩემპიონს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, პრეტენდენტს ტურნირის ბოლო ეტაპის მონაწილეებს...



ალბათ, გახსოვთ, რომ წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი სწორედ მსოფლიო ჩემპიონისა და ექსჩემპიონის მიხეობა, III ადგილზე პრეტენდენტთა ტურნირის ერთ-ერთი მონაწილე ვალერი სალოვი გავიდა. ამდენად, ავტომატურად მოვხვდი უმაღლეს ლიგაში.

● **ლაშა ჯანჭღავამ როგორ თამაშა?**

— მან კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვეღარ გაუძლო, მხოლოდ 6 ქულის მოგროვება შეძლო. ახალგაზრდა მოჭადრაკე წელს ბევრ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ეტყობა ბოლო, გადაწყვეტი ტურნირისთვის აღარ ეყო ძალა. სხვათა შორის, აქ მადლობა უნდა გადავუხადო ლაშას მწვრთნელს, ოსტატ ალექსანდრე ბოქუჩაევს, რომელიც ქიმიფერპოლში გვანდდა და გვეხმარებოდა. აქვე მადლიერების გრძობით მინდა მოვიგონო ჩემი ყველა მწვრთნელი, ჩემი პირველი მასწავლებელი, აწ განსვენებული დავით ჩინაძე, თენგიზ ხარლამიძე, თამაზ კიკანი.

● **და ბოლოს, გავაცანით იმათი ვინაობა, ვინც თქვენთან ერთად მოაპოვა უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება.**

— სიაშოვნებით. 17-დან 11 ქულა I ადგილი დაიკავა სემიონ დვოიროსმა. 10,5-10,5 ქულით II-III ადგილები გაიყვას სევასტოპოლელმა საერთაშორისო დიდოსტატმა ვლადიმერ მაღანიუქმა და ვლადიმერ ტუქაევიქმა. კონსტანტინე ლურნერმა, ალექსანდრე დრევემა და მე 10-10 ქულა მოვაგროვეთ.

ესაუბრა **დავით ველიძე.**

## „ბანა მს პეზოლოგია“

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 28 სექტემბერს პარტიის ხომის რაიკომის ბიურომ იმსხვლა „სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების მოწყობის პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის თაობაზე“ ხომის რაიკომის ბიუროს 1986 წლის 25 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და 18 სექტემბერს ხომის ცენტრალურ სტადიონზე მომხდარი ფაქტის შესახებ.

აღინშნა, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა, საშუალო, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციები არახსამარის მუშაობას ეწვიან სპორტულ-მასობრივ ღონისძიებებზე მოწყობისას სანამშუო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის. ბიურომ მკაცრ შეფასება მისცა რაიონის სპორტომიტეტის, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაიონული ხაზის, სახალხო რაზმელთა რაიონული შტაბისა და იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის საქმიანობას, რომელთაც ვერ შეძლეს მოხალღნელი ინციდენტის აკვეთა, სრულად ვერ განახორციელეს ის პროფილაქტიკური ღონისძიებები და

## პუარუნდავით დააჰაფილს

დავალელები, რომლებიც მათ მიეცათ რაიონულ კომიტეტში 15 სექტემბერს გამართულ ოპერატიულ თათბირზე. მკაცრი პარტიული შეფასება მიეცა რაიხსბუოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის მიერ ბილეთების გასაღების ორგანიზაციაში დაშვებულ შეცდომას, როცა დაუშვეს ტრიბუნების ტევალობაზე გადაჭარბებული რაღენობის ბილეთების რეალიზაცია.

რაიკომის ბიურომ დასახა დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ მკურნებლებში დისციპლინის განმტკიცებას, სპორტსმენთა ტექნიკური ოსტატობის შეფასების უნარის აღზრდას, მათ მიმართ პატივისცემის ჩვევის ჩანერგვას, ტრიბუნებზე წესიერი მოქცევის აუცილებლობას, ობიექტურობას, კლავაც გაგრძელდება ფეხბურთის მატჩებისა და სხვა შეჯიბრებების დროს სტუმრებისადმი ყურადღება, მათთვის პრიზების გადაცემა, სხვა ღონისძიებები, აგრეთვე საშუალო მუშაობა.

**პ. ჯოზაძე,**  
საქართველოს კპ ხომის რაიკომის მეორე მდივანი.

## ახალგაზრდა ოსტატები ბრძოლას შეუდგნენ

**საპარტიულო** პროფკავშირების მძლეოსნობის სასახლეში დაიწყო ამავე საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალთა შორის. შეჯიბრებებში ბევრი ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობს: რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი ტატიანა შუმიაცინა, საქართველოს სამგზის ჩემპიონი ციალა ქასოშვილი, სსრ კავშირის გოგონათა ჩემპიონი ლამა დომარკაიტე, ანჯელა ბელაიკოსკაია, რომელმაც I-II ადგილები გაიყო უკრაინის ჩემპიონატში, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ელენა სედინა და ამავე შეჯიბრების მეორე პრიზიორი ნათია ჯანჭღავა, 14 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონი თეა ლანჩავა და სხვები.

წილისყრის მიხედვით მონაწილენი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: დომარკაიტე (ვილნიუსი), ლია სადლენიშვილი (თბილისი), სედინა (ვიენა), ბელაიკოსკაია (ოლ-

ესა), შუმიაცინა (ჩელიაბინსკი), ირინა უმანსკაია (მოსკოვი), ფირუზა ველოხანლი (ბაქო), ჰენრიეტა ლაგვილაია (ქუთაისი), მარინა იარმოლინსკაია (ოლენსა), ჯანჭღავა, ლანჩავა, სოფიკო ტერეგლაძე, ქასოშვილი, ნინო ხურციძე.

გათამაშებულია 2 ტურის შეხვედრები. 1,5-1,5 ქულით ლიდერობენ სედინა, ბელაიკოსკაია, შუმიაცინა, ლაგვილაია და ჯანჭღავა. გათავაზობთ I-II ტურების ტექნიკურ შედეგებს:

**I ტური:** სედინა — ტერეგლაძე 0,5:0,5, ბელაიკოსკაია — ლანჩავა 1:0, შუმიაცინა — ჯანჭღავა 0,5:0,5, უმანსკაია — იარმოლინსკაია 0,5:0,5, ველოხანლი — ლაგვილაია 0,5:0,5. ორი პარტია გადატანილია.

**II ტური:** ხურციძე — ლაგვილაია 0:1, იარმოლინსკაია — ველოხანლი 0,5:0,5, ჯანჭღავა — უმანსკაია 1:0, ლანჩავა — შუმიაცინა 0:1, ტერეგლაძე — ბელაიკოსკაია 0,5:0,5, ქასოშვილი — სედინა 0:1, დომარკაიტე — სადლენიშვილი 0:1,

# საქართველოს ნაკრების პირველი გადარჩევა

**მასამ ტურში ერთ-ერთმა ლიდერმა — ესპანეთის ნაკრებმა დეკარტა ქულა.** მასთან შეხვედრაში ფრენს მიაღწიეს დასავლეთგერმანელმა ხელბურთელმა. ეს თანაბარი ძალების ორთაბრძოლა იყო, რომელშიც გერმანიის სპორტსმენები მხოლოდ დებიუტში იყვნენ წინ. ანგარიშში მეტწილად ესპანელები ლიდერობდნენ ერთი-ორი ბურთის სხვაობით — 9:8, 13:12, 15:13, ბოლო წუთზე ისინი კვლავ იყვნენ წინ ერთი ბურთით — 21:20, მაგრამ მეტოქემ უკანასკნელ წამებზე ალაღინა წონასწორობა — 22:22 (9:9).

სსრ კავშირის პირველი ნაკრების წარმატებაში პოლონეთის გუნდთან ეჭვი არავის შეუტანია. ასეც მოხდა: 10:8, 15:10, 16:11 (პირველი ტაიმი), 20:11, 25:15, 30:17 და 36:20. საბჭოთა ნაკრები ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

საქართველოს გუნდი ამ დღეს ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს ხვდებოდა. ჩვენი ხელბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამჟამად ისინი ბოლომდე იბრძოდნენ და აქი მიაღწიეს კიდევ საწადელს. თავიდანვე სტუმრები იყვნენ წინ — 2:0, 3:1, მაგრამ ამის შემდეგ უკმა აღადგინა წონასწორობა (3:3), მასპინძლები დაწინაურდნენ კიდევ — 5:3, 6:4, მაგრამ ტაიმი მაინც წააგეს მინიმალური სხვაობით — 13:14. შესვენების შემდეგ ანგარიში რამდენჯერმე საყაიმო იყო — 14:14, 16:16, 18:18. ბოლოს ინიციატივა ჩვენი გუნდის ხელში გადავიდა, იგი დაწინაურდა,

სხვაობამ ბურთებში ხუთსაც კი მიაღწია. საბოლოოდ ტაბლოზე აღებულა ციფრები 28:26. საქართველოს ნაკრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვა.

## ანგარიშ-კომენტარი

**ისპანურ-პოლონური, საქავში-რო კატეგორიის მსახი:**  
— პირველ ტაიმში ჩვენს გუნდს ტემპი აკლდა, მისი მოთამაშეები თითქმის არ ახორციელებდნენ შეტევას ფლანგებიდან, აკლდათ ბრძოლის უნარი. მიუხედავად ამისა, ტაიმი მხოლოდ ერთი ბურთით დათმეს, რაც გარკვეულ იმედს იძლეოდა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა. შესვენების შემდეგ მასპინძლები ბევრად უკეთ ამოქმედდნენ — აშკარად უმატეს ტემპს, უფრო მოძრავენი, მობილურნი გახდნენ, მეტოქის კარს სულ უფრო ხშირად უტყველდნენ ფლანგებიდან. შედეგად არ დააყოვნა.

**გაუზინ** გაიმართა ბოლოსწინა ტურის მატჩები: სსრ-ი — გერ — 19:32 (8:15), სსრ-ი — ესპანეთი — 32:19 (13:4) და საქართველო — პოლონეთი — 29:33 (9:15).

დღეს „ბურჟუაზისტების“ სპორტულ კომპლექსში თბილისის ტურნირის უკანასკნელი მატჩები: სსრ-ი — პოლონეთი, სსრ-ი — გერ და ესპანეთი — საქართველო. შეხვედრები გაიმართება, შესაბამისად, 12, 13.30 და 15 საათზე.

## ოთარ ოთარაშვილი.



## ნაკრების გეგმები

სირიასა და კუვეითში გამართული ამხანაგური საერთაშორისო მატჩების შემდეგ შინ დაბრუნდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები.

ჩვენი პირველი გუნდის უახლოესი გეგმების შესახებ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ განაცხადა:

— ფეხბურთელები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ, ნაკრების შემდგომი შეკრება კი დაგეგმილია.

## გილეთაის ფანი გააპყრობა

1990 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს გააძვირონ ფინალური ეტაპის მატჩების ბილეთების ფასი. ასე მავალითადა, დასაჯდომი ადგილი 56 დოლარი იქნება, მანამდე კი ყველაზე ძვირი იყო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ასეთივე ბილეთი, რომელიც 50 დოლარს აღწევდა. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ, ფინალურ მატჩს, რომელიც 8 ივლისს შედგება რომის ოლიმპიურ სტადიონზე, დასაჯდომი ადგილი ეღირება 164 დოლარი.

## საანდალი უნაგულ ფანაურთში

უნგრულ ფეხბურთში მომხდარი სკანდალი სულ უფრო მკვეთრ ფორმებს იღებს. დაპატიმრეს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი პანინი, შემდეგ კი ნაკრების მცველი შალაი. ემპს იწყებს ცნობილი ფეხბურთელის დეტარის (ახლა იგი პირების „ოლიმპიკოსში“ თამაშობს) მოქმედება.

# ლაპარაკობან მწვრთნელს

## ანატოლი ვაზუშენკო (სსრ კავშირის პირველი ნაკრები):


— როგორც ცნობილია, ჩვენმა ნაკრებმა წარმატებით დაამთავრა ოლიმპიური წელი და ახლა, შეიძლება ითქვას, გუნდისა და მთლიანად მსოფლიოს.



ანად ხელბურთის რეორგანიზაციას შეეუღლებით. ახალი სპორტული სეზონი გვინდა ექსპერიმენტის წინადადებად (გათამაშების ახალ სისტემაზე გადასვლა და ა. შ.). ამჟამად გუნდში სელექცია მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ბარსელონის ოლიმპიადამდე აღარ გამოვლენ ნაკრების ვეტერანები გოლდენ-მარ ნოვიცი, ალექსანდრ რიბანოვი, იური შეგოვი და, ალბათ, ალექსანდრ კოშაქევიჩი. ამიტომ მთაწველი გუნდში მთელი რიგი ახალი მოთამაშეები მოვიწვიეთ — დიმიტრი კარლოვი და სერგეი პოპოვი (ორივე — ასტრახანიდან), ვადიმ მურზაკოვი (ცხკიდან), ანდრეი ვილორობოვი და ალექსანდრ მაისტრენკო (ორივე — ლენინგრადიდან), რიმას ციკანაუსკასი (კაუნასიდან). გვყავს ნაკრებში სამი ახალგაზრდა გოლიათი — მოსკოველი არმიელ ვალერი საგო (სიმაღლე 2 მეტრი და 16 სანტიმეტრი), ზაპოროჟიელი ანდრეი შეპკინი (2.08) და ლენინგრადელი იური ნესტეროვი (2.06). მაღალი ტანის მოთამაშეების გარეშე ძნელია ბრძოლა მსოფლიო სარბიელზე. საერთოდ ხელბურთში ახლა ყველაზე მოთამაშეთა ათლეტური მზადების გაზრდის ტენდენცია შეიმჩნევა, იგრძნობა ასევე თამაშის ყველა ხერხის შესრულების სისწრაფის ზრდა, ტექნიკის სრულყოფა, იდეალურადე. ვეფქრობ, თბილისის ტურნირი ჩვენი გუნდისათვის ძალზე სასარგებლოა. — ფაქტურად აქ ვიწყებთ მზადებას ოლიმპიური ბარსელონისათვის.


## ვალდემარ მამონი (სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები):

— ჩვენს გუნდში 1968 წელს დაბადებული და უფრო უმცროსი ასაკის ხელბურთელები გამოიღია. ხუთი მოთამაშე მოსკოვის „ისკრადანაა“, ორ-ორი — ასტრახანიდან და კიევიდან, თითო — მინსკიდან და კრასნოდარიდან. ჩვენი დანიშნულება კარგად გვაქვს შეგნებული — მოვამზადოთ სრულფასოვანი რეზერვი ქვეყნის მთავარი გუნდისათვის, უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც მესამე ადგილზე გავედით, პირველ ნაკრებს გადავუცით ორი მოთამაშე — მარცხენა შუამარბი, ასტრახანელი ვიჩესლავ ატაგინი და ხაზის მოთამაშე, ლენინგრადელი იური ნესტეროვი. ერთიც და მეორეც ოცდაერთი წლისა, ორივე სპორტის დამსახურებული ოსტატი გა-



## ვანონ ლაკოშ (პოლონეთის ნაკრები):

— შევიცნელი ვახლავართ, რომელიც ხუთასი კილომეტრითა და შორებული ვარშავისაგან. თბილისის საერთაშორისო ტურნირზე პირველად 1975 წელს ჩამოვედი, მაშინ ვთამაშობდი. მომდევნო წელს კვლავ ვიასპარეხე თქვენს ქალაქში. ამჟამად პოლონეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვარ. ვიცი, რომ თითქმის ყველა გუნდს აქვს თავისი პრობლემები უძლიერესი შემადგენლობის დადგენასთან დაკავშირებით. არც ჩვენი ვართ.



ამ მხრივ გამოიკვლია. ნაკრებს აკლია ხუთი წამყვანი მოთამაშე — ისინი დასავლეთ ევროპის კლუბებში გამოდიან: გერ-ში (2), საფრანგეთში, პორტუგალიასა და შვეიცარიაში. მათ გარდა თბილისში ცივი ჩამოვიყვანეთ გუნდის კაპიტანი ბოგდან ვებტაც, რომელმაც ამას წინათ ფეხი დაიხიანა პოლონდრის ტურნირზე. სამწუხაროდ, ამას დაემატა რობერტ სკალსკის ტრავმა, რომელიც მან ახლა თბილისში მიიღო. პოლონეთის ნაკრები ამჟამად ძირითადად გდანსკის „ვიბჟევეს“ ხელბურთელებითაა დაკომპლექტებული — 5 მოთამაშე. ეს გუნდი ზედიზედ სამი წელიწადი ქვეყნის ჩემპიონია და ამჟამადც ლიდერობს გათამაშებას — პირველი წრის თერთმეტე შეხვედრა მოიგო. მთლიანობაში ჩვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, აი, შედეგით კი...

## ვალდემარ მამონი (სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები):

— ჩვენს გუნდში 1968 წელს დაბადებული და უფრო უმცროსი ასაკის ხელბურთელები გამოიღია. ხუთი მოთამაშე მოსკოვის „ისკრადანაა“, ორ-ორი — ასტრახანიდან და კიევიდან, თითო — მინსკიდან და კრასნოდარიდან. ჩვენი დანიშნულება კარგად გვაქვს შეგნებული — მოვამზადოთ სრულფასოვანი რეზერვი ქვეყნის მთავარი გუნდისათვის, უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც მესამე ადგილზე გავედით, პირველ ნაკრებს გადავუცით ორი მოთამაშე — მარცხენა შუამარბი, ასტრახანელი ვიჩესლავ ატაგინი და ხაზის მოთამაშე, ლენინგრადელი იური ნესტეროვი. ერთიც და მეორეც ოცდაერთი წლისა, ორივე სპორტის დამსახურებული ოსტატი გა-



## ვალდემარ მამონი (სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები):

ხდა. დღეს მთავარ გუნდში კანდიდატებად ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებიდან კიდევ ოთხი მოთამაშე მიიწვიეს — კაუნასელი რიმას ციკანაუსკასი (ხაზის მოთამაშე), ასტრახანელი დიმიტრი კარლოვი (გათამაშებელი), მინსკელი მიხეილ იაქოვიჩი (გათამაშებელი) და მოსკოველი არმიელ ვადიმ მურზაკოვი (მარჯვენა გარემარბი). მომავალი წლის სექტემბერში ესპანეთში ახალგაზრდული გუნდების მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, ამიტომ ამ შეჯიბრებებში მომავალი ნაკრების კანდიდატებსაც (ასეთი თექვსმეტი გვყავს) ვამოწმებთ, ცალკეულ მატჩებს ვიდებთ ვიდეოფირზე, ვითვალისწინებთ სპეციალისტების აზრს. ახლა ორიოდე სიტყვა ქართულ ხელბურთზე. ჩემი აზრით, მას ცუდი რეზერვი არ არის ჰყავს — ჰაბუკთა საქავშირო თამაშებზე ასტრახანში თქვენი გუნდის რამდენიმე წევრმა საქაოლ გააზრებული, ტექნიკური თამაში და სპორტული უნარი გამოავლინა, პირველ რიგში აღწინააგ შეკარებს როლანდ ვრატესა და ირაკლი კენჭაძეს, მარჯვენა გარემარბს მამუკა მენგლიას, გათამაშებულს ვახტანგ მეიფარიას. ალბათ ორსამ მათგანს წელსვე მიიწვიებენ ჰაბუკთა საქავშირო ნაკრებში, იქედან კი, ვამედოვნებ, ახალგაზრდულ გუნდში მოხვდებიან.

## ვახტანგ ივანიშვილი (გერ-ის ნაკრები):

— ვფიქრობ, რომ ეს საქირო ტურნირია და ყველა გუნდისთვის ერთნაირად სასარგებლო. ჩვენს ნაკრებს ოთხი ძირითადი მოთამაშე აკლია — ისინი ახლა თავიანთ კლუბებში თამაშობენ. მათ სანაცვლოდ ახალგაზრდები ჩამოვიყვანეთ — ნიჭიერი, პერსპექტიული მოთამაშეები. პოლონელებთან და ესპანელებთან ფრედ ვითამაშეთ, ამასთან ერთნაირი ანგარიშით. პირდაპირ ვეტყვი, არც შედეგით ვართ კმაყოფილი და არც ჩვენი თამაშით. ორივე შეხვედრა დიდი



ნერვებს ფასად დაგვიტოვა ხელბურთელებსა და მწვრთნელებსაც. ამ სეზონში კიდევ ბევრი შეჯიბრება გველის, მათგან უახლოესია საფრანგეთის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მომავალი წლის თებერვალში გაიმართება. თბილისის ტურნირზე პირველად 1967 წელს ვიყავი — იმხანად ჩვენს ნაკრებში ვთამაშობდი, ახლა ამ გუნდის მწვრთნელი ვარ და მეორედ ჩამოყავს ჩემი შეგირდები თქვენს ქალაქში.

## გიორგი ბარიაშვილი (საქართველოს ნაკრები):

— როგორც ყოველთვის, ეს ტურნირი უდიდესი სკოლაა ჩვენი გუნდისათვის. დღეს კი, მოგესხენებათ, ძალიან გვჭირდება გამოცდილების შექმნა. თავად განსაჯეთ: თოთხმეტი მოთამაშეიდან მხოლოდ ექვსი გამოვიღოდა წინა ტურნირზე. ასე რომ, ჩვენი ახალბედა მოთამაშეებისათვის „ზარია ვოსტოკის“ ტურნირი, შეიძლება ითქვას, სკოლაა კი არა, მთელი... აკლემთია. საქაოლ ძლიერი გუნდები შეიკრიბნენ თბილისში და დიდად კმაყოფილი ვართ, რომ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების დამარცხება შეეძლებოდა. ალბათ, ცოტა უკეთაც ვი-



თამაშობდით, ტრავმები რომ არა. გვყავდა სამი ძირითადი მოთამაშე — ლემეტრაშვილი, გიორგაძე და მინდელი. გვყავდა, რომ ისინი ყოველთვის იღონებენ, რათა რაც შეიძლება მაღო ჩაღვანენ მწვობრს. რამდენიმე დღეში ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტური გავწყება კონინიოვში. ვეცდებით თავი არ შევიკრიბინოთ.

ესაუბრა ოთარ ნოსაძე.

# პირველი ატაქის უკვდავ

მეგრული	8 5 1 667-321 11
იტალიური	6 5 1 559-558 11
ბულგარული	6 1 5 547-605 7
გერმანული	6 1 5 486-580 7

მოსკოვი	6 5 1 625-441 11
საბურთალოსი	6 5 1 640-426 11
საბურთალოსი	6 1 5 447-588 7
საბურთალოსი	6 1 5 429-686 7

სსრ კავშირი	6 6 0 585-468 12
საფრანგეთი	6 4 2 560-518 10
პოლონეთი	6 1 5 519-578 7
ფინეთი	6 1 5 600-605 7

ფინალში თამაშის უფლება გვეუფლებს პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა მოიპოვეს.



დამთავრდა კალათბურთულ ვაქეთა ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი — ჩვეულებრივი ტურნირები. როგორც უკვე ვიწყებოდით, გამოვინდა ფინალური ტურნირის რვა მონაწილე, რომლებიც 1989 წლის ივნისში კონტინენტის ჩემპიონატის საბარისო ადგილებს გაითამაშებენ.

გთავაზობთ ბოლო ტურის შეხვედრათა შედეგებს: საბურთალოსი — ჩხოსლოვაკია 107:85, იუგოსლავია — გერ 116:78, ბულგარეთი — შვეიცარია 85:69, საფრანგეთი — ფინეთი 125:88.

საბურთალოსი	6 6 0 582-431 12
პოლონეთი	6 4 2 467-481 10
ჩეხოსლოვაკია	6 1 5 515-554 7
ინგლისი	6 1 5 465-503 7

## მეგრის საკალათბურთო მოედნება

### იტალია

მეგრის ჩემპიონატში ჩინებული სტარტი იალო მილანის „ფილიპსინა“ რომელიც სუთივე მატჩი მოიგო და 10 ქულით სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს. მეორე ადგილზე იტალიის შარშანდელი ჩემპიონი „სკაფოლინი“ (8 ქულა).


მეორე ტურში ცენტრალური მატჩი მილანში — ადგილობრივი „ფილიპსინა“ და იტალიის თასის მფლობელ „სნაიდერო“ შორის გაიმართა. საქმე ის იყო რომ ოსკარ შიტიის (37 ქულა) ბრწყინვალე თამაში გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ მატჩის ნამდვილი გმირი მილანელი რომერტო პრემიერი გახლავთ (39 ქულა). „ფილიპსინა“ დამარცხდა გამარჯვება მოიპოვა — 121:93.

მესამე ტურში „ფილიპსინა“ მეტოქის მიუდინებე დამარცხდა

იბადა 1956 წლის 17 მაისს, პალმ-პარკში (მერთლენდის შტატი), ოლიმპიური ჩემპიონი გახდა მონრეალში, 1977 წლიდან კი იგი პროფესიონალია, კრივის ნამდვილ ვირტუოზად ითვლება.

### სრული აღიარება

ამას წინათ სრულიად მოულოდნელი წილი მიიღო აშშ-ის მოკრივეთა ნაკრების წევრმა როი ჯონსმა, სეულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზითა და 71 კგ წონით კატეგორიაში. მუხუცედავდ იმისა, რომ ჯონსმა ფინალური ბრძოლა დაუთმო არბიტრთა დახმარებით სამხრეთკორეულ სპორტსმენს, იგი თამაშების მუხუცედავდ ტექნიკურ მოკრივედ სცეს და ვალ ბარკერის საპატიო თასიც გადასცეს. და აი, როის თავანთსმეცემებმა, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათი კერძო უსამართლო დანაშაუდი, გადწყვიტეს, აღადგინონ სამართლიანობა და ჯონს გადასცეს სუფთა ოქროსაგან დამზადებული მედალი, რომელზეც ამოტვიფრულია: „ნამდვილი ოქროს ჩემპიონის ნამდვილი ოქროს მედალი“.



### კალეიდოსკოპი

## დეკემბრის კალენდარს დაემატა

„ულომ“ 1 დეკემბერს გამოაქვეყნა იმ წარმართულ ღონისძიებათა კალენდარი, რომელიც გაიმართება დეკემბერში ჩვენი რესპუბლიკაში. დამატებით გაეცნობები შეგიძრება, რომლებიც ასევე დეკემბერში ჩატარდება.

11-12. კალათბურთი. ვაქეთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩები. თბილისი.

17-18. კალათბურთი. ვაქეთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩები. თბილისი.

17-21. ძიულა. მსოფლიო X ჩემპიონატი სტუდენტთა შორის (ვაქები და ქალები). თბილისი.

21-22. კალათბურთი. ვაქეთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩები. თბილისი.

23-27. ფრენბურთი. საქართველოს სსრ თასის გათამაშება. თბილისი.

დევილი ხანაზობა ელოდათ, როცა ხარბილი „აქტიორულ დუეტს“ — სერგეი კობილოვა და ენზარ გელაშვილი ეთმობოდა. სპრინტი მათი შესრულებით უფლებფიხს მოიცავდა გარკვეულ იდუმალი მოულოდნელობას და ამიტომაც მოუთმენლად ველოდით საკუთარი თავადი გვეხდოდა საოცარი სრულყოფილი ოსტატობითა და თავდავიწყებით შესრულებული ეს სპექტაკლი.

ისინი, ისევე როგორც სპრინტი მათი ინტერპრეტაციით, განუყოფელი იყვნენ, უკუაღივრნენ განხვავებულნი, ორივე ერთად ქმნიდა იხეთ ხანაზობრივ სპრინტს, რაც დღეს აშკარად ვეკვილია.

დონი ლალონდეს. ამ შეხვედრამდე, ლონდონის როგორც პროფესიონალს, ჩატარებული ჰქონდა 35 მატჩი, რომელთაგან 34 მოიგო. აქედან 24 ნოკაუტით. ლონდონმა ერთადერთი მარცხი რიბერტ დიურონთან იგება. ლალონდეს — 33 მატჩიდან 31 მოგება (26 ნოკაუტი).

მსოფლიო პირველობის მატჩები, რომლებიც უორლდ ბოქსინგ კორპორეიშის ვერსიით ტარდება, 12 რაუნდისაგან შედგება. ლალონდემ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა ძლიერ მეტოქეს, ყურ დატყვზე გადავიდა. მეტრე რაუნდში ლონდონმა ნოკაუტში გაისტუმრა მეტოქე.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩემპიონმა განაცხადა, რომ მზად არის დაიცავს თავისი წოდება ახალ პრეტენდენტთან ბრძოლაში. აქ დიდი დამარცხებაც არსებობს. იოლი არ იქნება ლეონარდის უზომო ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილება (ლალონდესთან გამარჯვებისათვის მან 12 მილიონი დოლარი მიიღო). ფიქრობდნენ, რომ ჩემპიონის ერთადერთი სერიოზული მეტოქე აქამდე ისევე ის მერვინ ჰავდებოდა, რომელიც მან ამ ორი წლის წინათ დამარცხდა და შემდეგ განაცხადა, რომ ანებებს თავს კრივს. ლონდონის ეს გადაწყვეტილება, როგორც ვხედავთ, საბოლოო არ აღმოჩნდა.

რეი ჩარლზ მუგარ ლეონარდი და...

## კალეიდოსკოპი

### ენცი თქვენი

### სკვამიკოსეპო

სტოკჰოლმის სამეფო პოსტიტალის ექიმთა ჯგუფმა დაასრულა სუთწლიანი გამოკვლევა მოყვარულ მოკრივეთა შორის ტრავმატის შესახებ, რომელიც ჩატარდა შვეიცის პარლამენტის მითითებით, სადაც ბოლო დროს უამრავი მოთხოვნა შევიდა ამ ქვეყანაში კრივის აკრძალვის შესახებ. გამოკვლევა სენსაციური შედეგით დამთავრდა. თურმე მოკრივეები გაცილებით ნაკლებ ტრავმას ღებულობენ თავის ტვინისას, ვიდრე ფეხბურთელები და... მძლეოსნები.

### ლეონარდის

### ახალი გამარჯვება

„უორლდ ბოქსინგ კორპორეიშის“ შეგირდების მონაწილე, გამოჩენილი მოკრივე რეი მუგარ ლეონარდი მსოფლიო ჩემპიონია ქვემომხსენებელს დაარსებულ სუპერსაშუალოში. იგი ამ ახალ სუპერსაშუალო წონაში შეხვდა კანადელ მეტოქეს

### „სპორტარმანოის“, 50-ე ტირაჟის პროგრამა (10-11 დეკემბერი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან კოპეიში (უგაღლესი ლიგა)	პროგრამა
1. „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი) — ასკ (ხაბაროვსკი)	10.XII 30 20 50
2. „კუზნეცის“ (კრემეროვო) — „იუნოსტი“ (ოზხი)	10.XII 70 20 10
3. „ზორი“ (კრანოვოროსკი) — „სპორტილი“ (სიქტივკარი)	10.XII 80 10 10
4. „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — ასკ (სვერდლოვსკი)	10.XII 30 10 60
სსრ კავშირის ჩემპიონატი შიშინიან კოპეიში (პირველი ლიგა)	
5. „მეტალურგი“ (ნოვოკუზნეცი) — ასკ (ნოვოსიბირსკი), პირველი თამაში 10.XII 60 30 10	
6. „ავტომობილისტი“ (კარაგანდა) — სკ „სალავთ იულაევი“ (უფა), პირველი თამაში 11.XII 50 10 40	
7. „სიბირი“ (ნოვოსიბირსკი) — ასკ (სვერდლოვსკი), პირველი თამაში 11.XII 50 20 30	
8. „ავანგარდი“ (ოზხი) — „მოდოლი“ (პერმი), პირველი თამაში 11.XII 60 10 30	
9. ასკ შვო (კალინინი) — „კრისტალი“ (ელეკტროსტალი), პირველი თამაში 11.XII 30 30 40	
10. „იურეცი“ (ლენინგრადი) — „კრისტალი“ (სარატოვი), პირველი თამაში 11.XII 30 30 40	

### საფრანგეთის ჩემპიონატი შახხურთში

11. „მარსელი“ (მარსელი) — „ტულუზა“ (ტულუზა) 10.XII 40 40 20

### იტალიის ჩემპიონატი შახხურთში

12. „იუვენტუსი“ (ტორინი) — „სამპდორია“ (გენუა) 11.XII 80 10 10

### ესპანეთის ჩემპიონატი შახხურთში

13. „სევილია“ (სევილია) — „ვალადოლიდი“ (ვალადოლიდი) 11.XII 70 10 20



გუშინ, თბილისში, ბავშვთა კალათბურთის სახახლეში ჩატარდა შეხვედრები ქართულ კლდობაში საქართველოს კომპაქტური ცენტრალური კომიტეტის პრეზენტი. გორელმა ფალავნებმა მოუგეს გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს გუნდს — 6:3. რუსთაველებმა დაამარცხეს სოფელ ქისტაურის (ახმეტა) მოჭიდავეები — 5:2. დღეუთის რაიონის სოფელ ოძისის წარმომადგენლებს აჯობეს გორის რაიონის სოფელ ქორდის ფალავნებმა — 6:3.

## ციტატა



„თუ დამეჭრებულხარტ რაში მდგომარეობს დიდი სპორტის ძალა, რთ იზიდავს იგი მაყურებელს?“ კითხულობს 3 დეკემბერს „სოვეტსკი სპორტი“ გამოქვეყნებული სტატიის — „რა არს სახელი ჩემი“, ავტორი ო. ლინდე, რომელიც აქტუალურ პრობლემას, კერძოდ, სპორტის ანდამატურობ-

## კვირიდან კვირამდე

„პრავდა“ — 27 ნოემბერი. სკანდინავიური. ჰიმალიის მეორე საბჭოთა ექსპედიცია ემზადება ლაშქრობისთვის.

28 ნოემბერი. „სავანეთო გვერდი მისი სტადიონია“. ინტერესული სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტთან, ინგლისელ ჟურნალისტ ფრენკ ტეილორთან.

„კომსომოლსკაია პრავდა“ — 28 დეკემბერი. „საბილიარდოს მეფეები“. გაიმართა პირველი საერთაშორისო მატჩი ბილიარდში კიის საბჭოთა და ფინელ ოსტატებს შორის.

„ბრუნი“ — 27 ნოემბერი. „ფეხბურთს არ შეუძლია ძველებურად ცხოვრება“. ვალერი ლობანოვსკის აზრით საბჭოთა ფეხბურთის სკინდება თამაში, ძირეული გარდაქმნები.

28 ნოემბერი. „თვეზე მეტხანს ფიქრობდნენ“ ანუ იმის თაობაზე, თუ რატომ არ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა სსრ კავშირის პირველ და ოლიმპიურ საფეხბურთო ნაკრებებს შორის.

„სოვეტსკი სპორტი“ — 30 ნოემბერი. „სად მოისუსტებს ჩვენი სიძლიერე?“ წერილი იბეჭდება რუბრიკით „ოლიმპიური გაცვეთილები: სახვალის დავალება“. საუბარი ენება თავისუფალ კლიაობას.

1 დეკემბერი. „რა აირეკლება ბროლის გლობუსში?“ დაიწყო მსოფლიოს მორიგი თასის გათამაშება სამოსათხილამურო სპორტში.

3 დეკემბერი. „ტრეტიაკი უღეგნდოდ“. წარსულში ცნობილი პოეტის, ამჟამად თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტის საერთაშორისო განყოფილების თანამშრომლის ვლადისლავ ტრეტიაკის მონოლოგი.

## პირაბ კალენდარი

### „სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 20 ნომბერის გამართული 47-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 1628 430 ვარიანტი. ექვსი ციფრი ვერაგენ გამოიციო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (25 ვარიანტი) მოგება 2 291 მანეთია, ოთხისთვის (1985) — 36, სამისთვის (38 504) — 3.

„სპორტლოტო 5 38“-დან: გაიყიდა 17 194 717 ვარიანტი. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (123 ვარიანტი) მოგება 4 203 მანეთია, ოთხისთვის (9 537) — 86, სამისთვის (248 392) — 5.

რედაქტორი  
თ. ბაჩიჩილაძე.